ახალი მართალი

იუმორისტული ჟურნალი

№ 3

ფასი 10 კაპ. კვირა 15 მარტი 1915 წ.

რ ო ლ ე ბ ი შ ე ი ცვ ა ლ ა!

ბახუსი. როგორ არა, გრცხვენია მეგობარო, მე დამთხოვე ღვინის სმას, მენ კი, მოგიპარაკს და ლოთობ?!

დამთვრალი მარსი. ერრორის ღვინო, განა ღვინოა? ეგ ს... ს... ხ... (ეაიქცევა).

ნორმალური დასვენება

ღმერთი ააშენებს თფილისელ პარიკმახერს **გიორგი იმედოვს.**

თითქმის შუაღამე გადავიდა, მე კი მწარეთ დაღონებული ვიჯექ ვიჯექ და ვფიქრობდი:

—რა დავწერო ისეთი, რომ არც ბ-ნი ცენზორი მოვიმდურო, არც მკითხველი მეთქი.

თითქო განგებ მოისპო ქვეყნათ ყველაფერი უვნებელი და თანაც სახუმარო. კინაღამ ლოცვა დავიწყე.

მაგრამ ადღეგრძელოს ღმერთმან თფილისელი პარიკმახერი გიორგი იმედოვი, თუ ცოცხალია, ხოლო თუ უკვე განისვენა (რასაკვირველია არა ნორმალური განსვენებით) სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს მას.

ოურმე ნუ იტყვით ბ-ნ იმედოვს უკვე დაუწერია რუსულათ მშვენიერი პატარა ფელეტონი **„ნორმალური დასვენების“** შესახებ და კიდევაც დაუბეჭდია. მე სწორეთ დაბეჭდილ ეგზემპლიარს წავიწყდი და მინდა ჩემ შეთხზულათ გავასაღო.

პარიკმახერი გიორგი სწერს:

„თფილისის ქალაქის გამგეობის მიერ გამოცემულსა და გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ სავალდებულო დადგენილებებში სწერია:

1) სამუშაო დრო ყველა სახელოსნოებში უნდა განისაზღვროს 11 საათით დღე და ღამეში, ხოლო უქმეების წინ 9 საათით. ამასთანავე სადილს და დასვენებას უნდა მოხმარდეს 2 საათი.

2) 17 წლისაზე უმცროსი მოსანსახურე, გარეშე აღნიშნული 2 საათის დასვენებისა უნდა განთავისუფლდეს ყოველ დღე 3 საათით სკოლაში სასიარულოთ.

ბ-ნებო! ზემო აღნიშნული პუნქტები ჩემთვის ყოვლად შეუწყნარებელია და ეი რატომ:

ა) სიღარიბის გამო ჩემი სახელოსნო ცუდათ არის მოწყობილი. არა მაქვს გაუმჯობესებული მანქანები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გაუმჯობესება სახელოსნოში დასამზადებ საქონელისა [1])

ბ) გარდა ამისა მე ვერ ვასწრებ ჩემ სახელოსნოში დაკვეთილ საქონლის დამზადებას [2]) იძულებულივარ რამოდენიმე დღით შევაჩერო ხელმე დაწყებული საქმე[3]) გარდა ამისა დიდ მეტოქეობას მიწევს საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი [4]) მსგავსი ჩემ სახელოსნოში დამზადებულისა საქონელი, თავისი იაფი ღირებულობით“.

ყოველივე ამის შემდეგ პარიკმახერი გიორგი იმედოვი რასაკვირველია თხოულობს, რომ ნორმალური დასვენების საქმე სხვაგვარათ გადაწყდეს. ე ი. მოესპოს მას ყოველგვარი საზღვარი.

ახლა საზოგადოთ გამოფხიზლების და ნაციონალური მრეწველობის აყვავების ხანაა. მე დარწმუნებული ვარ, თფილისის ქალაქის გამგეობა არ დასტოვებს იმედოვის განცხადებას უყურადღებოთ.

მართლაც უნდა დაედვას რაიმე საზღვარი უცხოეთიდან გაპარსული თავების ჩვენში შემოტანას და უმეტეს ამ საქონლის ფასის დაწევას. ვინ არ იცის, რომ უცხოეთიდან არა თუ თავ-წვერ, არამედ ულვაშ მოპარსულნიც ხშირათ ბრუნდებიან და ადგილობრივ წარმოებას აქვეითებენ.

ჩვენი აზრით თითო გაპარსულ თავს, საზღვარგარეთიდან შემოტანილს, უნდა დაედოს ბაჟი არა უმცირეს სამასი მანეთისა. გარდა ამისა გაუმჯობესებულ იქნას ადგილობრივ საპარსი მანქანები, რომ ერთბაშად შეიძლებოდეს ასი, ორასი თავის გაპარსვა. ხოლო, ვიდრე ყოველივე ეს დაკანონდება და ცხოვრებაში შევა, მოისპოს აწ არსებული წესები ნორმალური დასვენებისა და ნება მიეცეს ხაზეინებს განაგრძონ სამუშაო დღე არა უმეტეს 24 საათისა დღე და ღამეში.

ლარი

---

1) იგულისხმეთ გაპარსული თავები.

2) აშკარაა თფილისში ბევრი მოქალაქე იძენს გაპარსულ თავებს.

3) ხშირი ყოფილა იმედოვის საპარიკმახეროში ასეთი მოვლენა. მოვა მუშტარი. დაიწყება პარსვა. პირველ დღეს მოჰპარსავს მარცხენა ყბის ზემო ნახევარს. ორი დღის შემდეგ დაათავებს მარცხენა ყბას და გადავა მარჯვენაზე და სხვ.

4) აბა ვინ იფიქრებდა თუ უცხოეთიდან შემოჰქონდათ ჩვენში გაპარსული თავები და ეს საქონელი მეტოქეობას უწევდა გიორგის სახელოსნოში დაპარსულ თავებს!

ომის ილიუსტრაცია.



გერმანელი შპიონი, რომელიც ფარულად მოგზავრობს ინგლისის სამხედრო მატარებლის ქეშ რესორებზე. (ის დაიჭირეს და დახვრიტეს).

გ ო ზ ი ნ ა ყ ი

ზოოლოგიური კრიტიკა.

გაზეთ „სახალხო ფურცელში'' ახალგაზრდა კრიტიკოსი ბ-ნ დ. კასრაძე გრ. რობაქიძის ,,კოლონის'' გამო დაწერილ ფელეტონში სხვათაშორის ამბობს:

„ამ სასაცილო თეორიებს ღმერთმა დამიფაროს ჩვენს სამშობლოში ვუსურვო გაფურჩქვნა. სადი ორგანიზმი, სადი გონება მას წიხლს დასცემს".

ბ-ნ გრიგოლ რობაქიძეს თამამათ შეუძლია გაიმეოროს ცნობილი მგლის საგულისხმიერო სიტყვები: —მამა ჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას ვინ მრჯიდა.

უ ბ ე დ უ რ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა.

გაზეთი ,,თანამედროვე აზრი'' სწერს:

„ვარშავიდან მომავალი მატარებელი დაეტაკა მეორეს. მატარებლის ორთქლმავალი შეიჭრა ვაგონებში: მოკვდა 9, დაიჭრა 18, და დაიმსხვრა 10 ვაგონი.

ამ უბედური შემთხვევის შესახებ ჩვენი ჟურნალის რედაქციამ დაწვრილებითი ცნობები მიიღო:

გამოირკვა, რომ იქვე მომკვდარა არა 9, არამედ 13 ვაგონი. დაჭრილია 28, რომელთაგან 7 ვაგონი გზაზე გარდაცვლილა, 5 უნუგეშო მდგომარეობაშია, ხოლო დანარჩენთ საფრთხე არ მოელის. მატარებლის ორთქლმავალი უკვე შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

აკაკის ნაკვესები

ერთმა უცხოელმა უთხრა აკაკის.

—მე ხომ თქვენთან ვარ, თქვენთვისა ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯები და თქვენ კი ხრად მაფასებთო.

—როგორ არაო, მიუგო აკაკიმ: მეტი არა შეგვიძლია-რა და ღმერთს კი ყოველ დღე ამას ვეხვეწებით: „ყოვლად შემძლებელო ღმერთო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და საიდანაც მოსულა იქვე წაიყვანეო".

ო მ ი ს ი ლ ი უ ს ტ რ ა ც ი ა

გერმანელები ქალქ ანტვერპენში.

სიკვდილი

(აკაკის მიბაძვა*)

მართალი თუ გინდათ, ჩემთვის ახლა სულ ერთიცაა, ადრე დამკრძალავენ თუ გვიან (ოღონდ დამკრძალონ კი!). იქნება, გვიან დაკრძალვაც მერჩივნოს, რადგან ჩემი ახალი თვისებების წყალობით ბევრი რამ სულ სხვა გვარათ მიჩანს თვალში და მაინტერესებს კიდეც.

მაგრამ სიტყვების ის დაუნდობელი სეტყვა რომ მომაგონდება, რომელიც ჩემს ცხედარს მოელის აქედან მოკიდებული ვიდრე საფლავის კარამდე, მაშინ ძალაუნებურათ ცოცხალ ადამიანთა თვისება —შიშის ზარი—შემიპყრობს და ვფიქრობ:

—რა დავაშავე სიცოცხლეში ისეთი, რომ სიკვდილს შემდეგ ესოდენი სასჯელი მომეზღო? უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარამხედინ სასუმელი ესე!

მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელ არს, ბედს უნდა დავემორჩილდე და ბოლომდე დავცალო სასუმელი... აი იწყებენ კიდეც:

ჩემს კუბოსთან კვლავ მრავალი ხალხი გროვდება, მაგრამ ეხლა მე კი აღარ მაქცევენ ყურადღებას, სადღაც კარებისკენ იცქირებიან. კარებში შემოდის ვიღაც კაცი და ყველას თვალები მას მისდევს. ის კი ჩემს კუბოს უახლოვდება ჩქარის ნაბიჯით, ეტყობა ღელავს და ეშინია.

—შე დალოცვილო, რას იჭივრებდი საქმეს? კალთა არავის დაუგლეჯია, გინდა თუ არა ილაპარაკეო და სასყიდელსაც არავინ გაძლევს: თუ ფიქრობ, რომ „მოქალაქობრივ ვალს“ ასრულებ, ეს კეთილ სინდისიერობა რაღა მაინც და მაინც ჩემს ცხედართან გამოიჩინე?...

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ორატორმა დაიწყო... მოგეხსენებათ მიცვალებულის ამბავი—გაქცევა მე არ შემიძლია და ყურის თითით დაცობა... ცოცხალი ვიყო, გაგიხარია—მე გამექუსლა, ეხლა კი რა გეეწყობა - ისევ სხვა ხერხი უნდა მოვიგონო და ვიგონებ კიდეც: როცა ვინმე ლაპარაკობს, სულ სხვა რაზედმე ვფიქრობ ხოლმე და ორატორის ლაპარაკს ყურს არ ვუგდებ. აი ახლაც: ეს ყმაწვილი ლაპარაკობს, შეიძლება კარგათაც ლაპარაკობდეს, მაგრამ მე მისი ყურება არ შემიძლია—ღმერთმა მშვიდობით გაათავებინოს საწადელი ასრულებინოს და ყველას მოსწონებოდეს მისი სიტყვა—მე კი სულ სხვა საფიქრალი და საზრუნავი მაქვს:

—როგორ უნდა ავხსნათ, რომ ჩვენ, ქართველებს, ლაპარაკის ამოტოლა საღერღელი გვაქვს? იქნება იმის ბრალი იყოს, რომ დაბადების დღიდან მუნჯებათ გვზრდიდენ, სიტყვები ყელში გვაქვს დაგროვილი და რაკი გასავალს შოულობენ, გადმოხეთქავენ ხოლმე ისეთის ძლიერებით, რომ ვეღარც კი ვაჩერებთ.

თუ სხვა რამე მიზეზია?

ასეა თუ ისე—ეს ჩვენი მრავალ-სიტყვაობა დიდი უბედურება კი არის. თუ საქართველოს საფრთხე რამ მოელის, დარწმუნებული იყავით, რომ ეს საფრთხე ყველაზე უფრო ორატორებისა, ლექტორებისა და მგოსნებისაგან წარმოსდგება. ჭეშმარიტათ სასჯელათ მოგვივლინა ღმერთმა ესენი, ვითარცა ძველ დროში შავ ჭირსა და სხვა სენს წარმოუგზავნიდა ხოლმე ერს დასატუქსავათ და—დიდ არს სახელი და სამართალი უფლისა—ჩვენც იძულებული ვართ უდრტვინველათ ავიტანოთ ჩვენს გონებრივ ყანაში ამ დაუნდობელ კალიის შემოსევა...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი გართული ამ გვარ ფიქრებში და არც ის ვიცი რამდენმა ორატორმა ილაპარაკა: ფიქრებისაგან მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე როცა დროებით ჩემს ცხედართან სიტყვები შესწყდა და რაღაც უცნაური ლაპარაკი მომესმა:

—სთქვი!

—არა მეთქი!

—ეს ხალხი, ხომ ჰხედავ, შენ სიტყვას ელის.

—აკი გითხარით, არ ვიტყვი მეთქი!

—რათა კაცო, რა მიზეზია, რომ ვერ გავიგე?

—არა და მიტომ.

—რაღა ახლა გამოიჩინე ჯიუტობა!

—არ შემიძლიან.

—მიზეზი?

—მიზეზი ის არის, რომ მე ერთად-ერთი სიტყვა უნდა წარმოვსთქვა.

—მერე ვინ გეხვეწება, 20 სიტყვა წარმოსთქვიო.

—აქ თუ ვსთქვი, იქ ვეღარ ვიტყვი ისე კარგათ, როგორც საჭიროა.

—სად იქ, კაცო?

- თბილისში.

—მერე სულ ერთი არ არის? გინდ აქ გითქვამს, გინდ თბილისში: ხომ მიცვალებულისთვის ამბობ, და არა ხალხისთვის.

—არა, კაცო, არ ვიტყვი მეთქი.

არ იქნა და არა, ვერ ათქმევინეს. მე, ღვთის წინაშე, ძალიან გამეხარდა, რადგან საფიქრებელი

*) იხ. „ახ. მათრ.“ № 1.

მასალა გამომეღია, და ამასაც რომ დაეწყო ლაპარაკი, უნდა კიდევ მეძებნა.

ჩემი თბილისს წასვენების დღე რომ მოახლოვდა, უფრო და უფრო დამეშინეს სიტყვები, ალბათ ეშინოდათ, ვაი თუ წაასვენონ და ველარ მოვასწროთო.

დადგა წასვენების დღეც; ყველაფერი მზათ იყო კიდეც, როდესაც სულ მოულოდნელათ დამკრძალავ კომიტეტს ერთმა ჩემმა თაყვანისმცემელმა შემდეგი თხოვნა მიართვა: „უმორჩილესათ ვსთხოვ დამკრძალავ კომიტეტს, მიბოძოს ნება, რათა ჩემთვის უძვირფასეს ცხედარს მუხლ მოდრეკილი გავყვე საჩხერიდან დაწყებული ვიდრე თბილისამდე. №“.

ამ თხოვნის შინაარსმა ცოტა არ იყოს გამაკვირვა და გულში გამაცინა კიდეც.

მუხლ მოდრეკილი გავყვე საჩხერიდან დაწყებულ ვიდრე თბილისამდე...

ე. ი. ჩემს მატარებელს უნდა ბოსდიოს „ჩოქვი-ჩოქვით“ საჩხერიდან თბილისამდე.

მე კარგათ ვიცნობ ამ თხოვნის ავტორს, ვიცი რომ ძალიან მარდი კაცია, მაგრამ მაინც არ მაქვს იმედი, მატარებელს მისდიოს თბილისამდე და ისიც დაჩოქილმა

დამკრძალავი კომიტეტების წევრებმა წაიკითხეს თხოვნა და დაიბარეს თვით მთხოვნელი, რადგან მათზეც ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა თხოვნის შინაარსმა, როგორიც ჩემზე.

მათ შორის შემდეგი ლაპარაკი გაიმართა:

კომიტეტი. თქვენ გნებავთ მუხლ მოდრეკით გაჰყვეთ აკაკის ცხედარს თბილისამდე?

მთხოვნელი. დიახ.

კომიტეტი. მაგის საწინააღმდეგო კომიტეტს არა ექნება რა... საქმე ისაა, რკინის გზის მთავრობა მოგცემთ თუ არა ნებას...

მთხოვნელი. როგორ თუ რკინის გზის მთავრობა? რკინის გზის მთავრობა აქ რა შუაშია?

კომიტეტი. თქვენ ხომ რკნის გზის ლიანდაგზე მოგიხდებათ მუხლებით სირბილი, ლიანდაგზე სიარული კი აკრძალულია... თუმცა, ვინ იცის, იქნებ, მუხლებით სიარულის ნება დაგრთონ...

მთხოვნელი. უკაცრავათ, აქ გაუგებრობა გახლავთ; მე გთხოვთ, ნება მიბოძოთ ცხედრის წინაშე დავიჩოქო, ვაგონში და ისე გავყვე თბილისამდე...

აქ კი კომტეტის წევრებმა ერთმანერთს გადახედეს და მეც ჩავფიქრდი, მართალი გითხრათ:

ლაპარაკი რომ შემძლებოდა, კომიტეტს მივმართავდი და შემდეგს ვეტყოდი:

—გთხოვთ უმორჩილესათ, ნება დართოთ ამ ჩემს თაყვანისმცემელს მუხლი მოიდრიკოს და ისე წამოვიდეს თბილისს... ხოლო ვინაიდან ჩემს ვაგონში ეცივება და იატაკიც მუხლებს ატკენს, გთხოვთ პირველ კლასის ვაგონი დაუთმოთ და ბალიშებიც დაუმზადოთ მუხლის მოსადრეკათ!...

ეშვი

(დასასრული იქნება)

შარადა

შარადას შევკრავ ტკბილ-ხმოვანს,
ჩემგან კვლავ თქმულთა მზგავსათა,
სიძნელით ისეთს, როგორიც
ჯერ არ გსმენიათ არსათა.

უზარ-მაზარი ქვაბია,
ძირ მოჭედილი თვლებითა
ახლავე თუ ვერ იცანით
რეგვნებათ ჩაითვლებითა).
ხან ორთქლს მოიდგამს გულზედა,
ხან კი, წყალ-ლურჯათ კამკამებს,
გულს ატკბობს სილამაზითა,
სულს დაობლებულს აამებს!
შუა გაჰყავით ეგ სიტყვა
და უკუაგდეთ პირველი,
რამეთუ ჩვენთვის მეორე
ნაკვთია შესაწირველი

აწ ძებნა გვმართებს მეორის,
არ კმარობს მონაპოები...
მას ხშირად ჰკვეთენ ეზოში
როს სველობს მიდამოები,
მაგრამ წყალს ისე ვერ დალევ,
თუ ბაწარს არ გამოები.

ესეც მეორე! ამ ჟამად
მესამეს უნდა ძიება.
ჭურჭელთა შორის გრძელ-ყელა
ვერ სცნათ არ გეპატიება.
დაჭკარი, შვაზე გასტეხე,
(არ უნდა გამოძიება)
და ამჯობინეთ მეორე
ნახევრის შემოტიება.

გათავდა! მაგრამ იცით რა???
—რასაც აღნიშნავს შარადა!
მოყვრისა გულის საკლავად
და მტერთა გასახარადა.

განაცარმტვერდა... დაიმსხვრა
«დუგების» მღუნავ ხელითა.
და აწ მის გამომრთველებას
დიდი ხნით აღარ ველითა.
«ჩონგურის» ერთი კიდეა
(აკაკის გამოთქმულობით)
ვერ შეედრება იმას სხვა
გულ-მკერდის მოქარგულობით.
აწ კი? დაიმსხვრა აგდია...
ბედისგან განაწვალები...
თავს ყორანთ გუნდი დასჩხავის,
რომ მამჰკორტნოს თვალები.

ვინც უკვე გაითვალცხადა
შარადა ესე, მცირია,
ვთხოვ დაუფიქრდეს:
იქნება მისგან სხვაც რამე სჭირია!

კოლო

ომის ილიუსტრაცია

ჩერნოგორიელი მოხუცი, მტრის დასაზვერათ გამოსული.

ომი და მისი ისტორია

ვირის ყბა და შურდული.

უძველესი ისტორიული წყაროების მიხედვით, პირველი ეროვნება ჩვენს დედა-მიწაზე — ებრაელები იყვენ. ისინი ერთგული აღმსარებელნი იყვენ ჭეშმარიტი ღმერთისა და აი ამ ერთგულების კომპენსაციათ უფალმა აღუთქვა მათ მშვენიერი და მდიდარი პროვინცია მცირე აზიის ნახევარ კუნძულზე, ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, მდინარე იორდანეს ხეობაში.

უბედურება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ აღთქმულ პროვინციაში უკვე ბინადრობდა მილიტარისტული სულით გაჟღენთილი ხალხი, სახელათ „ფილისტიმლიანები". ორივე ერის მეცნიერნი დიდხანს არკვევდენ, თუ რომელ მათგანსა ჰქონდა აღნიშნულ პროვინციაზე ისტორიული უფლებები, მაგრამ კითხვა მაინც გამოურკვეველი დარჩა.

გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ებრაელთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა ცნობილი გმირი სამსონი. (ისტორიაში «სამსონ ძლიერათ» წოდებული) გააფთრებით ეკვეთენ ერთმანეთს მოპირდაპირენი. გამარჯვების სასწორი ხან ერთი, ხან მეორე მხრით იხრებოდა. ბოლოს აშკარა შეიქნა ფილისტიმლიანთა მეტი მომზადება და სიმხნევე. ებრაელთა არმიას სრული განადგურება მოელოდა, თუ არ ეხსნა იგი მის სახელოვან სარდალს.

გაცხარებული ბრძოლის დროს, სამსონმა ფეხი წამოჰკრა გამხმარ ვირის ყბას და გენიალურმა აზრმა გაუელვა თავში. მან დასტაცა ხელი ალმასივით მჭრელი კბილებით შეიარაღებულ ვირის ყბას, გრიგალივით მოეელინა გაოცებულ ფილისტიმლიანებს და მარტოთ მარტომ შემუსრა*) შვიდი კორპუსი მარცხენა და მარჯვენა ფრთებისა. (კორპუსში იმ დროს 35000 ხიშტი**) და 15000 ხმალი ითვლებოდა).

ამგვარათ, ფილისტიმლიანებთან ბრძოლის დროს პირველათ გამოჩნდა ხმარებაში განმანადგურებელი იარაღი — „ვირის ყბა"***). აქედან უნდა გასინჯოთ, რა რიგ ჩამორჩენილი იყო ომის ტეხნიკა იმ შორეულ

**) „ხიშტი" და „ხმალი" სამხედრო ტერმინებია. ამბობენ ხოლმე ხიშტს და იგულისხმება ჯარის-კაცი.

*) ამ ისტორიული ამბის შესახებ ხალხში მრავალი ანეკდოტია გავრცელებული. აი ერთი მათგანი;

ერთმა მდიდარმა წვეულება გამართა და მოიწვია ქალაქის ბობოლაები. სხვათა შორის დაპატიჟებული იყო ერთი გონება მახვილი და სიტყვა მწარი ხუმარა. რომ სადილზე უსიამოვნო ინცინდენტი არ მომხდარიყო, ხუმარას მხოლოდ ორის სიტყვის ნება დართეს.

გათამამებულმა ბობოლა სტუმარმა აშკარა ტრაბახი დაიწყო და სხვათაშორის სთქვა:

—ისეთ მადაზე ვიყავი, რომ მოვსდექი და როგორც სამსონმა ფილისტიმლიანები ისე შევმუსრავ 300 უსტრიცათ

—ცხადია ისეთივე ყბითაო, შენინშნა ხუმარამ.

***) ეს იშვიათი ისტორიული განძი ბრიტანიის ნაციონალურ მუზეუმში ინახება.

წარსულში. ახლანდელ დროში არა თუ ცალი ყბა, მთელი ვირის თავიც ალარაფერს შველის ზოგიერთ სარდლებს.

სამსონ ძლიერი დიდ ხანს განაგებდა ებრაელთა ჯარს და მოსვენებას არ აძლევდა მტრებს. ომის ინიციატივა მას ვერავინ წაართვა, ვინაიდან გრძელი თმები ჰქონდა და ამ თმებში მისი ძლიერება იმალებოდა. ბევრი უტრიალეს ფილისტიმლიანებმა, მაგრამ სამსონს თმა ვერ გააკრეჭიეს. ბოლოს ისევ ჯაშუშთა დახმარებას მიმართეს. მათ მოისყიდეს სამსონის უკანონო ცოლი—დალილა და დაავალეს საყვარელისთვის თმები მოეკრიჭა. დალილამ ათასი ხერხი მოიგონა, მაგრამ ამაოდ. მას უნდოდა შეეშინებია იგი მკბენართა გამრავლებით და საოფლე ტიფის გავრცელებით, რაიც დიდ ზარალს მიაყენებდა სამსონის ჯარს, მაგრამ სარდალი სულ სხვა აზრისა იყო ტიფის შესახებ. რაკი ვერაფრით ვერ დაიყოლია მეუღლე თმის მოკრეჭაზე, დალილამ თითონ აიღო მაკრატელი და ძილის დროს სამსონს თავი გადახოტრა.

ამის შემდეგ დაეცა სამსონის ძლიერება და მტრებმა ის ტყვეთ წაიყვანეს. სამხედრო ტყვეებს მაშინ ახლანდელზე უარესათ არ ეპყრობოდენ. სამსონს მხოლოდ თვალები გამოსთხარეს და მეწისქვილეთ დააყენეს.

ფილისტიმლიანები არ ისვენებდენ. ისინი კარგა ხანია რევანშისათვის ემზადებოდენ და საულის მეფობის ჟამს მოხდენილი დროც დაუდგათ. იმათი ლაშქარი, ცნობილ ბუმბერაზ—გოლიათის წინამძღვრობით მოულოდნელათ თავს დაესხა ებრაელებს, როცა ისინი ცხვრებს აძოვებდენ. ჯარი დაფრთხა და მტრებმა ხელთ იგდეს დიდძალი სანოვაგე. ბ-ნი გოლიათი აშკარათ იწვევდა ებრაელთაგან მოპირდაპირეს. ის გაიძახოდა: თუ მე ვსძლიო თქვენი ფალავანი, თქვენ დაგვნებდით, ხოლო თუ თქვენ მძლევთ ჩვენ დაგნებდებიდითო.

პირობა ჩინებული იყო, მაგრამ გოლიათთან შებრძოლებას ვერავინ ბედავდა. საული საგონებელში ჩავარდა. სწორეთ აი ამ განსაცდელის დროს მოევლინა ებრაელთ შვიდი წლის (თუ მეტის.) ჭაბუკი დავითი. ის უშიშრათ გამოვიდა მდევ-კაცი გოლიათის წინაალმდეგ, ვინაიდან მას იმედი ჰქონდა ახალი (ჯერ არვისგან ცნობილი) საომარი იარაღისა. ეს იარაღი გახლდათ „შურდული“.

დავითმა მსწრაფლ ჩასდო შურდულში მოზრდილი ქვა და შიგ შუბლში გაარტყა გოლიათს. ბუმბერაზი წაიქცა, ხოლო მისი ლაშქარი დამარცხდა.

(შემდეგი იქნება)

მორიელი.

ომის ილიუსტრაცია

მუსულმანი ქალი მოუწოდებს ოსმალებს საღმრთო ომისათვის.

ქართველი მოღვაწენი.

ქართველი პუბლიცისტი და ქალაქის ხმოსანი პ. გოთუა მოწინავე პოზიციებისაკენ.

აკაკის ნაკვესები.

—

ვინმე ერისთავი და აკაკი რაღაცაზე ლაპარაკობდენ. ერისთავმა პოეტს თავმოწონებით უთხრა:

— ნუ დაგავიწყდება აკაკი, მე რაც უნდა იყოს ერისთავი მქვიანო.

— ბატონო, ერი-კი ჩამოგერთვათ და ცარიელი თავი გინდ გებას და გინდ არაო — მიუგო აკაკიმ.

აკაკის ჰკითხეს:

— რას მივაწეროთ, რომ ესა და ეს კაცი, როცა მთვრალია კარგათ ლაპარაკობს და სასიამოვნოც არის, ხოლო თუ ფხიზელია, მაგისი ვერა გაგვიგია-რაო?

— უთუოდ როცა თვრება რაც თქვენ არ მოგწონთ იმასა კარგავსო, უპასუხა მგოსანმა.

ომის ილიუსტრაცია

სასახელო საქმე რუსის ოფიცრისა, რომელიც ჩაესაფრა გლეხის ქოხში და 3 საათის განმავლობაში იგერებდა 20 გერმანელის თავდასხმას.

აკაკის ნაკვესები.

—

ერთი ქართველი ქალი, აკაკის კარგი ნაცნობი, ვაჟკაცურად თმას იკრეჭდა. ერთხელ აკაკისთან ერთად სადალაქოში შვიდა. სადალაქოს პატრონს მეგრელს, თავისი გვარი «კვესელავა» აეთვალისწუნებია და «ვესელოვად» გადაეკეთებია.

—დიდი ხანია ეს გვარი დაირქვიო? ჰკითხა ქალმა დაცინვით სადალაქოს პატრონს.

—მას აქეთ, რაც თქვენ თმას აკრეჭინებთო— უპასუხა პარიკმახერის მაგიერ აკაკიმ.

—

ვიღაცა მელოტმა სთქვა:

—ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივსწერე: ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავსა-მეთქი, მაგრამ ცოლად მაინც არ გამომყვაო.

—სწორედ მაგით დაგიფრთხია, რა სასიამოვნო არის მუდამ შიშველი და ცარიელი დარჩენაო,— მიუგო აკაკიმ.

—

ერთი მელოტი კაცი ამბობდა:

—ახლანდელ ყმაწვილების ყოფაქცევას რომ კაცმა უყუროს თავზე თმა აუდგებაო.

—ეტყობა ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა არა თუ ამდგარა, კიდევაც გადაკარგულა ცხრა მთის იქითაო. მიუგო აკაკიმ.

პოლემიკა

სოხუმელ „ღლასნსა“[1] და „საღლასნს“[2] შორის.

(პოლემიკა ესე მოთავსებულია ადგილობრივ გაზეთ „сухумскія вѣстникъ“-ში)

წერილი „საღლასნისა“

არჩევნებისა დრო მოაწია,
შეგვხვდება დიდი გაწამაწია
და ძველი „დუმა“, ძველი მამები,
ქალაქის ასე გამაწამები,
ჩაბარდებიან დავიწყებასა.
მათი ნაღვაწის განქიქებასა
ეხლავე უნდა მოვკიდოთ ხელი,
რომ ყველასათვის ვყოთ ის ნათელი,
ღვაწლი დუმისა მომაკვდავისა,
არცა ფლავისა, არაცა ჩლავისა,
ამ ორი სიტყვით დასახატია:
„უმოქმედობა“ და „აპატია“!
სრული ოთხი წლის არსებობითა,
წინ პროექტებით სავსე გობითა,
ვერ გააკეთა ვერა რა მანა
და „აბსენტიზმის“ დაგვიდგა ხანა:
ღლასნები კრებებს არ ესწრებოდენ,
ხშირად მოხუცნი იქვე წვებოდენ,
საქმის მაგივრად, წასულნი ძილად,
თავჩაქინდრულნი ხვრინავდენ ტკბილად.
და „უპრავასაც“ ხომ ეს უნდოდა:
ქალაქის ეტლს ის დაუპატრონდა,
დუმას სისუსტე რო ემჩნეოდა,
უპრავა თვისკენ „ეტლს“ ეწეოდა,
დუმაც თავისკენ, შეიქნა ჯახი,
ორად გაიყო ერთი ოჯახი,
დუმამ უპრავა ვეღარ ალაგმა
და საქმეც ადარ წავიდა წაღმა.
ქალაქის ეტლი კი დატვირთული
დღესაც ერთ ადგილს არის დაფლული.
და წარსულს ვიღებთ რა გაკვეთილად:
უნდა მოვეპყრათ არჩევნებს ფრთხილად:
კაცი უვიცი, ბნელ ყოფაქცევის
აწ ღლასნათ მაინც ნუ ალირჩევის.
მაშ, გადვიწეროთ რწმენით პირჯვარი
და საარჩევნო შევყაროთ ჯარი!..

1) ღლასნი—ხმოსანი

2) საღლასნი-არახმოსანი, მდუმი ხმოსნობის.

პასუხი „ღლასნისა“

ვისმინე სიტყვა არაღლასნისა
მოქმედებათა ჩვენთა აღსნისა.
რაო? რას ამბობს? არ ვარგვართ ჩვენა?
სჩანს რომ ჰღალატობს ხედვა და სმენა.
ჩვენ არ ვშრომობდით? არ ვაშენებდით?
ჩვენ ჩვენს ქალაქსა არ ვამშვენებდით?
სანამ ვიყავით და ვართ ღლასნათა,
თუმც უპრავასთან ნესოღლასნათა,
თავდადებულათ ვიღწვით ყველანი,
განა დავხარჯეთ ცოტა მელანი?
აი თუნდ საქმე „პოსობიების“ [1])
დედან ასლების თუ კოპიების
წერაზე რაც რომ მელანი ვხარჯეთ,
ვინა სწერს, მაზე რაც დავიტანჯეთ,
და განა ისიც ჩვენ არ ვიყავით,
კომისიებათ რო დავიყავით?
რას ვაკეთებდით? ქუჩებსა ვრწყავდით,
ზოგიერთ მათგანს კიდეც ვკირწყლავდით,
თვითმმართველობის დარბაზსა ვგავდით
ხშირად იქ მტვრიან ჰაერსაც ვნთქვიდით,
სხდომების დროსა სკამებსა ვსძრავდით,
ხან მაგიდებსაც ფეხს წამოვკრავდით,
მწვავე რეჩებით ხშირათ ვბრწყინავდით,
(თუმც ზოგი ამ დროს მართლაც ვხვრინავდით)
ვინ მოსთვლის, ოქმებს რამდენსა ვთხზავდით!
საქმის გარშემო რას არა ვრთავდით!
მარტო „ზარაზნი ბარაკის“ საქმე
რომ მაგონდება უნებურ აქ მე,
თვალებზე ცრემლი ცრემლს ეკიდება.
სწორეთ შეგვშვენის ქება-დიდება!
მარტო იმისთვის მაინც შეგვშვენის,
რომ ბატონ წევრებს უპრავის ჩვენის
ვუძღვენ-საჩუქრეთ ადგილ მამული,
მთელი სოხუმის თვალი და გული!
რადგან მათ მძიმე უღლისა წევით
ქალაქის საქმე დასწიეს ქვევით.
სკოლების გახსნის გახსოვთ პრიკაზი?
ჩვენ არა ვსტკიცეთ იმას ატკაზი?!

1) დუმის დადგენილების თანახმად ქალაქის მოსამსახურეებს უნდა მიეღოთ ორ ორი თვის ჯამაგირი ოჯახების გასახიზნათ. უპრავის წევრებმა მაშინვე მიიღეს, დაბალ მოსამსახურეებს კი, განსაკუთრებით ქალაქის აფთიაქის მოსამსახურეებს, დღესაც არ აქვთ მიღებული, რადგან ამაზე გაიმართა დიდი მიწერ-მოწერა კლიაუზური ხასიათისა. გაიმართა უბრალო ბიუროკრატიული ვალაკიტა, მარტო იმისთვის, რომ დაბალ მოსამსახურეებს დიდხანს არ ღირსებოდათ ამ დახმარების მიღება.

ზედმეტი სკოლა რათ უნდა ქალაქს?
რა შეეძინოს. ვსთქვათ, ამით დალაქს?
ბავშვები სახლში იკრიჭებიან,
ქუჩებში მხოლოთ იღრიჭებიან,
გოროდოვოებს [2]) შეგვიწუხებენ,
მეხილეს ხილზე ხელს შეუხებენ...
სხვაა ინსტიტუტ — სემინარია...
აი რის გახსნა ჩვენ გვიხარია!
აღიმართება სინათლის სვეტი,
შემოსავალიც გვექნება მეტი,
ზრუნვას არ ვაკლებთ ჩვენ ამა საგანს,
თითქმის სულ მაზე ვეწევით ქაქანს,
მას დაგიმტკიცებთ ჩვენის ნიხრებით,
გასინჯეთ, ნახეთ, საით ვიხრებით:
ყასაბ-ვაჭრები და მეპურები,
ღმერთმა მათ მისცეს დიდი ყურები,
ღარიბი ხალხის ძარღვის წურბელა,
ჩვენ მადლიერი გვყავს თითქმის ყველა!..
აი თუ გინდათ სტარი ბაზარი,
ცხრაჯერ რომ მოხდა ამ წელს პაჟარი.
ცხრაჯერ დაიწვა, ცხრაჯერ ავაგეთ,
ხე-ტყე რამდენი გავაჩანაგეთ!
ჯერ ხომ სეირათ იყო სეირი,
მერე ბევრ ვინმეს ჰქონდა ,,ხეირი'',
სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, ,,გამოსარჩენი''
ეჰ, ვინ აღნუსხოს მთლად ღვაწლი ჩვენი?
დიდ აარს იგი, როგორც ალახი,
როგორც სოხუმის გზებზე ტალახი,
და თქვენ კი გინდათ, რომ დაამციროთ,
ამით ქვეყანა რომ გააკვირვოთ??.
ვითომც თქვენა ხართ შემძლე ყოვლისა,
უსპეტაკესი ახალ თოვლისა:
ალბათ ღლასნობის მოგსვლიათ მადა,
იქნებ მოგინდათ ქალაქის ,,ქადა'',
(სთქვით: ,,ჩლენობა'' თუ ,,თავობა'' ,,ნადა''?)
გინდათ, ამ ,,ქადას'' რომ მოუჩოჩდეთ,
რომ ერთი მხრიდგან თქვენც იმას მოსდგეთ.
სანამ გასჭრიდეს თქვენი ხერხები,
ჩვენ იქ მოგვრჩება მხოლოთ ქერქები!..

ონისიმე.

2) რომელთა შტატიც ჩვენ გავადიდეთ,
ჯამაგირებით რომ გავამდიდერთ
და ღვაწლი ესე პოლიციური
ჩვენ გვმოსავს, როგორც მადლი ციური;..

რედაქციაში

(**შარჟი**)

(სცენაზე არიან: **რედაქტორი, პირველი თანამშრომელი და სტუდენტი:** ფარდის ახდისას თავჩაღუნული სხედან და სწერენ.)

სტუდენტი. ყმაწვილებო, როგორ იქნება ქართულათ »упорный"?

პირ. თანამშრ. როგორ უნდა იყოს: როგორ იქნება და „მაგარი", „მტკიცე", „მძლავრი"...

სტუდ. »მაგარი"... მტკიცე... Нѣтъ, не то!

რედაქტორი. (აგდებულათ) упорный? შეიძლება „ჟინიანი", »შეუპოვარი« »შეუდრეკელი«...

სტ. Нѣтъ, не то, не то!

რედ. განა ეგრე შეიძლება? სთქვი, კაცო, მთელი ფრაზა და უფრო ადვილათ მიეხვდებით.

სტ. Въ южныхъ провинціяхъ Китая ходятъ упорные слухи о томъ, что Юаньшикай бѣжалъ на катерѣ по рѣкѣ Янсекянгъ.

რედ. შენ როგორ თარგმნე?

სტუდ. აი ასე: „სამხრეთ პროვინციებში ჩინეთისა დადიან... და აქ კი აღარ ვიცი, აქ ჩაეჩხირა ის ოხერი სიტყვა.

რედ. ეგრე გეთქვა შე, კაი კაცო! ამ შემთხვევაში უნდა ითარგმნოს ასე: „სამხრეთ პროვინციებში ჩინეთისა დადიან ჯიუტი ხმები იმაზე, რომ იუანშიკაი ჯორით გაიქცა მდინარე იან-ცინ-კიანზე.

სტუდ. მაშ ეგრე დავწერო? (სწერს) »დადიან ჯიუტი ხმები, რომ ჯორით გაიქცა...

(შემოდის ფრანტი მიუახლოვდება 1 თანამშ.)

ფრანტი Г-нъ редакторъ—вы?

1 **თანამ.** აი იქით მიბრძანდით. (უჩვენებს)

ფრანტი. აჰაა! Очень пріятно. (რედაქტორს) честь имѣю!

რედ. რას გვიბრძანებთ?

ფრან. გთხოვთ пропустимъ эту штучку. იმდენათ ძრიელი არ არის და არც ფეროვანია, მაგრამ для вашей читающей публики всеже...

რედ. გვიბოძეთ ბ-ნო, წავიკითხავთ და პასუხს თავის დროზე მოგართმევთ.

ფრან, ნუ წუხთ, я самъ прочту. Штучка маленькая, минятюроч ка. (კითხულობს)...

ის მიდიოდა!..

ის მიდიოდა ვით მზის შუქი
ურმის ჭავლებში...
ის კვნესდა მწარეთ, ვით ზეფირი
უხის თვალებში

ის მიდიოდა, მიდიოდა,
კვლავ მიდიოდა!
ვნების სხივთ ძგერა ვით მანანა
ქვეყნად ცვიოდა.
ის მიდიოდა წინ, წინ, წინ, წინ,
ის მიდიოდა.
ლურჯი ღიმილის და სულის თქმის
ნაზე დარხევა,
ის მიდიოდა,
არ იცოდა უკან დარხვევა...
— ის...

რედ. (მოთმინებიდან გამოსული) უკაცრავათ! თუ შეიძლება ცოტა ხნით შევაჩერო.. ვინ მიდიოდა? სად მიდიოდა? ვერაფერი გავიგეთ!

ფრან. ჭეშმარიტება მიდიოდა! Неужели это такъ непостижимо? მოითმინეთ, გაიგეთ. (განაგრძობს) „ის მოდიოდა...

რედ. როგორც გავს თქვენი ოგზაური კიდევ კარგა ხანს ივლის. გთხოვთ დაგვიტოვოთ; ჩვენ გადავხედავთ და პასუხს აცნობებთ.

ფრან. Padon! Merci! ყველანი ეგრე მეუბნებიან. დავუტოვებ და მშვიდობით! ვეღარ იხილავ! лучше съ собой возьму.

რედ. თქვენი ნებაა.

ფრანტ. До свиданія. (გადის)

თანამ. ახირებული ხალხია სწორეთ! თითქო განგებ ცდილობენ უაზროთ და გაუგებრათ სწერონ. ვინ იცის, იქნებ მართლა გენიოსური რამე იყო. მე მეტი მუშაობა აღარ შემიძლია, ჩემი საათი.. (მუცელზე იდებს ხელს.)

(შემოდიან: ჩოხიანი კაცი და მორუსული ქალი.)

ჩოხ. კაც. (ძიდის 1 თანამშრომლისკენ) ვი ლედახტორ?

1 თან. არა, ბატონო, იქით მიბრძანდით.

ქალი. (მივა სტუდენტთან) გამარჯობათ! (ლაპარაკს გაუბამს)

რედ. (ჩოხიანს) რა გნებავთ, ბატონო!

ჩოხ. ია სვამი ადინ პროსბა იმეიუ.

რედ. ბრძანეთ, ბატონო. რის შესახებ?

ჩოხ. პა პოვოდუ მოემუ ბრატუ.

რედ. მაშ თქვენი ძმის შესახებ?

ჩოხ. და, ზნაიტე, მნე ესტ ადინ ბრატ. ონ ჭერა ბროსილი ნაობახ.

რედ. თქვენ გინდათ სთქვათ, რომ თქვენი ძმა დააპატიმრეს. მერე რისთვის? (იქით) აი, ჯანაბას შენი რუსული! რომ ვერ ვათქმევინე ქართულათ.

ჩოხ. ზნაეტე, ბეზ ვსიაკავო პრიჩინუ. ზნაიტე, მოი ბრატ უჩენიკ, ხარაშო უჩილ, ვსე ეგზამინი პაიმალ..

რედ. არ იცით რას აბრალებენ?

ჩოხ. ზნაიტე, აგრაბილი ადნავო მონასტირია, მოი ბრატ ტაგდა ზნაიტე ჯ პარიკმახტერა გოლოვა რეზალ, თეფერ ემუ ზნაიტე პატერიაუტ ციმბირ.

რედ. მერე, ბატონო, ჩვენ როგორ უნდა დაგეხმაროთ?

ჩოხ. ზნაიტე, ვი აბიავლუიტე, მოი ბრატ ნე მინავატ გავარიტ, ტაღდა ნე პატერიაიუტ.

რედ. უკაცრავათ, ბატონო, ჩვენ ჯერ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, გამოვარკვევთ და მაშინ მოგახსენებთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ (ხელს ართმევს)

ჩოხ. ზნაეტე ოჩენ სპასიბო ბუდუ. დასვიდანიუ. (მიდის)

ქალი. (რედაქ.) მე თქვენთან პატარა საქმე მაქვს.

რედ. გვიბრძანეთ, ბატონო!

ქალი. პადპისნოი ლისტი მოვიტანე. ერთი ღარიბი უჩენიკის სასარგებლოთ ბლაგოტვარიტელნი პადპისკა ღავიწყეთ და იმედია თქვენც მოგვაწოდეთ პატარა ლეპტს.

რედ. Виноватъ, кто онъ такой

ქალი. ნეუჟელი ასეთი პუსტიაკის ცოდნაც საჭიროა?

რედ. Развѣ это пустякъ? Я же долженъ знать личность человѣка, въ пользу которого жертвую (იქით) აი ჯანდაბას შენი თავი. რომ ვერ ვათქმევინე რუსულათ!

ქალი. კანეჩნო პუსტიაკია. რა შვაშია აქ ლიჩნოსტი. ნეუჟელი მეტი დავერიის ღირსი არა ვარ. რომ ვაგროვებთ ფულს, ზნაჩიტ ღირსიც არის. ასეთი აბიდა ჩემთვის ჯერ არავის არ მოუცია. ია ნე ჟელაუ თქვენი დახმარება. პრაშაიტე! (გადის)

რედ. მადლობა ღმერთს! კიდევ კარგათ გათავდა საქმე. შენი მტერია ფული რომ მოეთხოვა...

რეპორტ. სადილათ წაჰყევი! კი წაჰყვები, შენ ნუ მომიკვდე, თუ წაგიყვანდეს!

რედაქტ. აბა, ჩქარა! რა ახალი ამბები მოგიტანია, წაგვიკითხე!

რეპორტ. (კითხულობს) „ვერის დაღმართის თავში, საცა ტრამვაის ვაგონები ჩერდება, გუშინ 6 გულწასული კაცი იპოვეს: გონს რომ მოიყვანეს, ერთმა მათგანმა განაცხადა: მეოთხე დღეა ვაგონს ვუცდით, არაფერი გვიჭამია, შიმშილმა დაგვასუსტა, გვიშველეთ რამეო...

(შემოდის ესტატე სტატიაშვილი გაბრაზებული. ხელში გაზეთი უჭირავს)

რედ. რა ამბავია, კაცო, ხომ არაფერი შეგემთხვა?

ესტატ. თქვენ მაგ საშვალებით მე სახელს ვერ

გამიტეხთ. მე ჩემს თავს სასაცილოთ ვერავის ავაგდებინებ. მოხოვეთ სტატია და დაგიწერეთ როგორი სტატიაც შემეძლო. მე გაზეთის ხელში აღებაც კი მეზარება, არა თუ სტატიების წერა.

რედ. რა ამბავია, ბატონო, გავიგოთ მაინც რაშია ჩვენი დანაშაული.

ესტატ. როგორ თუ რა ამბავია; თუ გგონიათ მე კითხვა არ ვიცი, რაღას მაწერინებდით სტატიას და დღუ დამაწერინეთ სტატია..

რედ. ღმერთი, რჯული ვერაფერი გამიგია.

ესტატ. ვერ გაგიგიათ!.. რა თქმა უნდა ვერ გაიგებდით, როდესაც მე, ავტორმა სტატიისამ ვეღარაფერი გავიგე ჩემს სტატიაში. კაცი საკუთარ საქმეს ვცდები, ვწერ ხალხისათვის სტატიას, მომაქვს ეს სტატია დასაბეჭდათ, თქვენ იწონებთ სტატიას, აბეჭვდინებთ სტატიას და წარმოიდგინეთ, ვკითხულობ ჩემ სტატიას და სტატია კი არა, რაღაც დომხალი გამოდის და არა სტატია.

რედ. ჩვენ თქვენი სტატიისათვის ხელიც არ გვიხლია, არც კი გაგვისწორებია.

ესტატ. საქმეც ის არის, ბ-ნო, რომ თქვენ ჩემი სტატია გაგიოხრებიათ და არა გაგისწორებიათ! აბა მოისმინეთ და დასკტბით. (ამოიღებს და უჩვენებს) ჯერ სათაურს დამიხედეთ. ჩემს სტატიას ეწერა: „მცენარეთა რაციონალური გამრავლება". თქვენ კი დაგიბეჭდიათ: „მცონარეთა ნაციონალური გამრავლება." აბა შეადარეთ თქვენი ჭირიმეთ, შეადარეთ, განა ეს გავს რამე? რომელი სულელი ნაცია იქნება, რომ მცონარეებს ამრავლებდეს? მაგრამ ეს კიდევ რა? პირველ სვეტშივე, მეცხრამეტე პწკარში უნდა ეწეროს: „ვინ არ იცის, რა წარმტაცი და მომხიბლავია შვერის ყვავილი". თქვენ კი დაგიბეჭდიათ: „რა წარმტაცი და მომხიბლავია შტერის ბღავილი„. როგორ მოგწონთ?

რედ. განა ჩვენ თითონ არ ვიცით, რომ ყვავილის ბღავილი...

ესტ. იცით, იცით, მაგრამ მოითმინეთ· ჯერ მხოლოდ ყვავილია. იქ სადაც ატამზე ვწერ, ნათქვამი ქონდა.. „ცნობილია, რომ ჩვენში უფრო ატმებს უკმევენ გუნდრუკს". თქვენ კი ამ ნათელი აზრის მაგივრათ დაგიბეჭდიათ: „ცნობილია, რომ, ჩვენში უფრო ქათმებს აჭმევენ ჭ ტრუკს". აბა რასა გავს ეს შენი ჭირიმე? რომელი ერთი მოვიხსენიო, მესამე სვეტში უნდა ყოფილიყო: „ახალი თესლი უნდა დაითესოს და შუშების საშვალებით მალე აღმოცენდეს". თქვენს გაზეთში დაბეჭდილია: „ახალი გესლი უნდა დაითესოს ჯაშუშების საშვალებით მალე აღმოცენდეს".

რედ. ეს მართლა ახირებულია;

ესტ. ახირებული ის კი არა, აი ეს არის. მე ვწერდი სტატიის ბოლოში: „ვის არ მოეხსენება, თუ რა ბაზარი და გასავალი აქვს ჩვენში მწვავე პომიდორებს" მეთქი. გაზეთში კი ვკითხულობ: „ვის არ მოეხსენება, თუ რა ბაზარი და გასავალი აქვს ჩვენში მწვავე პატრიოტებს". ერთი სიტყვით, იცოდეთ ბ-ნებო, რომ ეს ჩემი სტატია უკანასკნელი სტატია არის. მეტ სტატიას თქვენ ჩემგან ნუ ელით. სტატიების წერა რომ ეგრე მიხაროდეს...

(ფარდა) —ი—ა.

მიკიტანი საქულას ჩივილი

(ვუძღვნი ნიკო გოცირიძეს)

—პაპიჩემის მუკუჩას სული ნუ წამიწყდება, ამ ქვეყნისა არა გამიგია რა!! ამ დ ნიაზე ყველაფერი მოდნა ყოფილა!

ქალების კაბა ხომ მოდნაა, კაცო, ეს ოხერი ვაჭრობაც მოდნა უქნიათ.

მიკიტნებს დუქნები დაგვიკეტეს, ცოლ-შვილი დაგვიმშიეს, ყელი გამოგვჭრეს: მოდნა არის, უნდა ლოთობა მოვსპოთ, ვაინი დროთ..

ვა, შენ რომ ვაინი გინდა, ჩემმა ღვინოებმა რა დააშავა?...

მეც ავდექი და ერთი მაგრა ვიფიქრე: აქ რაღაც შტუკა უნდა იყოს მეთქი!

მოვიგონდა: ალბათ იაპონცკი ვაინა რომ წავაგეთ, ღვინოს ბრალი ყოფილა, ოღონდ თათრები ნუ წამიღებენ და ჩემი ღვინოები სულ ვაინის სანაცვლოთ წასულა მეთქი.

მაგრამ, ხომ იცით დაჩვეული კაცის ამბავი, ვერ მოვითმინე და ერთი ბოთლი ღვინო გავყიდე. სა დანაც იყო, იმ ჩვენ ოს დესეტნიკს გაუგია, ვა, ვა, ვა, ვა!

მამვარდა, ერთი ყვირი, ერთი ყვირის, რომ მთელი პოლიცია თავზე არ დამახვია!... როგოროც იყო ამ ხათაბალას გადავრჩი, დარაბები მაგრა გამოვკეტე და გოლოვინცკზე დავიწყე ხეტიალი.

ერთიც ვნახოთ, ჩვენი მიკიტანი გრიქურა სადღაც დამთვრალა, გოლოვინცკი ქუჩა ვიწრო მოსჩვენებია, გამოქანებული არტიჩესკი თეატრს დასჯახებია, მარა ვერ გაუტანია..

—ჰა, გრიქურ!... ეგ სად ჩამბალხარ მეთქი.

ერთი ბრუნდეთ შემომხედა და მითხრა:

—ეხ, საქულ ჯან, ახლა მიკიტნის დუქანი საპოჟნიკებს გაუღიათ, საცა მიხვალ ყველგან კარგ

პატივს გცემენ, ოღონდ ჯიბე უნდა წაიღო სამსე, თორემ ნისიათ არავის.

—რას ამბობ? ხო არ გაგიჟდი, რომელი საპოჟნიკია მეთქი, მარა ყოჟრი არ მიგდო; ბარბაცით ალექსანდრეს ბაღის კარებს დაეჯახა.

ვიფიქრე, მოდი ერთი ჩემს საპოჟნიკთან წავალ, იქნება იმასაც მიკიტნის დუქანი გაუღია; უზურში მთელი თვეა ღვინო არ დამილევია მეთქი.

მივედი. გამარჯობა უთხარი.

—გაგიმარჯოსო: ჰა, როგორა ხარ? ამდენ ხანს სადა ხარ, ნისიისთვის მოხვიდოდი, ამ საათში მოგართმევო.

ბიჭოს! ეს რა რიხით ლაპარაკობს? გეგონება მილიონის პატრონიაო. წინათ ქუჩაში რომ დამინახავდა სამ ვერსზე გარბოდა, დუქანში რო მივიდოდი მემალებოდა, რა არის ნისია არა მთხოვოსო და ახლა ვერ უყურებთ, როგორ გამდიდრებულა?

—არა, სერგოჯან, ისე გამოვიარე, გოლოვინსკზე გულაობა მომწყინდა; მარა ამ შენს ოთახში ვინ არიან რომ ჭიკჭიკობენ?

—ეგენი ჩემი ამფსონებია, ღვინოსა სომენ, კაი ბიჭებია და კარგ ხეირსაც მაძლევენ, ღმერთშა ააშენოს მაგათი ოჯახი!

-მერე ღვინოს სათ შოულობ?

—ეხ, საქო ჯან, შენ მუშტარი თქვი, თორემ ღვინო რამდენიც გინდა.

—ვა, მერე რათა ძმაო და? ჩვენი ღვინოები პადვლებში ძმარდებოდეს, პატენტის ფულს ვიხდიდეთ, ქირას ვაძლევდეთ და თქვენ ღვინო, არაყი ყიდოთ, ეს არის სამართალი?..

—მაშ საქულ, ის არის სამართალი, რომ ხუთი წელიწადი მუქთათ ჩექმბებს გიკერავდი და რასაც ვშოულობდი შენს დუქანში ვეამდი? თქვენ რაც მოიგეთ ისიც გეყოფათ. ახლა მოდნათ შემოვიდა: საპოჟნიკებმა უნდა მიკიტნობა დავიწყოთ და თქვენ საპოჟნიკობა უნდა ასწავლოთ.

—ვა, ერთი გავგიჟდი, ერთი გავბრაზდი, ერთი ისეთი ბოღმა მომაწვა, ლამის დავიხრჩე. ავდექი და გარეთ გამოვარდი.

მერე ვიფიქრე: შე ახმახო ჩემო თავო, «როგორიც ერი, ისეთი ბერი», მოდი და შენც ახალ მოდნაზე ივაჭრე მეთქი.

მას აქეთ ჩემი დუქნის წინ ვგულაობ და მოდნაზე ვვაჭრობ. ეს სიტყვა თქვენში დარჩეს და რაც შარშან მთელ წელიწადს ვივაჭრე, ამ სამ თვეში ერთი მიდენი მოვიგე...

ეხ, მახლას: მოდნაა რაღა...

ს. ქვემოხეთელი

აკაკის ნაკვეთები.

ერთს სადილზე აკაკის ღვინო დააძალეს. მან უარი სთქვა: არა ვსვამ ღვინოსაო. ერთმა მოქეიფეთაგანმა აიღო თასით ღვინო, კისერში ჩაასხა და უთხრა:

—მაშ თუ ღვინის სმა არ იცოდი, ჩვენს სუფრაზე რათა ჯდებოდიო. პოეტმა, რასაკვირველია ხუმრობათ მიიღო და სიცილი დაიწყო.

გაიარა რამდენიმე ხანმა. ერთხელ აკაკი მაგიდას უჯდა და სწერდა: ესტუმრა სწორეთ ის ახირებული მოქეიფე და ამოუჯდა გვერდით. პოეტმა მაშინვე ქაღალდი მიაწოდა, კალამი გადასცა და სთხოვა:

—აბა ერთი რამ დამიწერეო!

მოქეიფემ გაკვირვებით უთხრა: მე წერისა რა ვიციო.

მაშ თუ არ იცი ამ ჩემს მაგიდასთან რა გინდოდაო? მიუგო პოეტმა და ერთი საწერელი მელანი კისერში ჩაასხა.

ახალი „მათრახის"

ფოსტა.

„ახალი მათრახის" რედაქცია აცხადებს: ჟურნალში დაიბეჭდება **მხოლოდ** იუმორისტული შინაარსის წერილები, როგორც ორიგინალური, აგრეთვე უცხო ენებიდან ნათარგმნი. უმარკო წერილებს რედაქცია ვერ გამოისსყიდის.

ხვედას და Ко. თწვენ იწერებით:

„ჩვენ ლექსებს თუ არ დაბეჭდავთ, ფოსტაში მაინც ნუ გამოგვაცხადებთო."

სიამოვნებით ვასრულებთ მეორე ნახევარს.

მტრედს (არა სამტრედიაში)

„ჩემს დღეში ლექსი არ დამიწერია და ახლა ვსწერ თქვენი ჟურნალის გავლენითო".

თანამოზიარე ვართ თქვენი მწუხარებისა, მაგრამ ჟურნალს მაინც ვერ დავხურავთ ამისათვის.

ეფ ვას. (სადღაც)

„ჩემს ნაწერებს ან „ჩიორა". ან „კენტი", ან „კოღო" და ან „მორელი" მოაწერეთო" გთხოვთ თქვენ.

ჩვენ მეტსაც ვშვებით, ზოგჯერ ,,ეშმაკს'', ,,თაგუნას'' და ,,ბლიკვაძესაც'' ვაწერთ, თქვენ შეუწუხებლათ რასაკვირველია.

კი.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განთიადი“

იყიდება ბ. ეშმაკის მიერ შედგენილი ქართული ქარტები:

I საერთაშორისო ომის ქარტა.

1) აღმოსავლეთის ასპარეზი: გერმანიის, ავსტრო-უნგარეთისა და რუსეთის საზღვრები.

2) დასავლეთის ასპარეზი: გერმანის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის და ინგლისის საზღვრები.

ფასი 40 კაპ.

II რუსეთ-ოსმალეთის ომის ასპარეზი.

)1 ქვემო ეგვიპტე (სუეცის არხით)

2) კავკასია (სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრები)

3) ოსმალეთი და მისი მეზობელი სახელმწიფოები.

ფასი 50 კაპ.

ვინც თითო ცალს ცალკე გამოიწერს, მან გადასაგზავნი უნდა დაუმატოს 15 კაპ. ხოლო ვინც იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისა, მას ღირებულ ფასზე დაეთმობა 20 პროცენტი და გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ნისიათ და ფასდადებით ქარტა არავის არ ეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 21. Георгію М. Махарадзе

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ. 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.

კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველდღიური სალიტ. და საპოლიტ. გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

ფასი: წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ 4 მ. 50 კ. 3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

საპოლიტ. სამეცნ. და სალიტერატურო გაზეთი

„ᲛᲐᲓᲠᲔᲕᲐᲜᲘ“

გამოდის კვირაში ერთხელ, ორშაბათობით.

ფასი: 1 წლით 2 მ. 50 კ. ნახ. წლ. 1 მ 25 კ. 1 თვ. 25 კ. ცალკე № კაპ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი Тифлисъ Типографія „Сорапанъ“ Александру Г. Мумладзе

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ᲗᲔᲛᲘ“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი Тифлисъ, Ольгинская ул. № 4

ყოველკვირეული საზოგადო ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

„ᲙᲚᲓᲔ“

ფასი: 1 წლით 5 მ. 6 თვ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ.

ადრესი: Тифлисъ Габаевскій пер. № 3

ყოველკვირეული სათეატრო და სალიტერატურო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კაპ.

ადრესი „Тифлис Ред. Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили.

ყოველ თვიური საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Редак. Журнала „Джеджили“ Артиллеріиская ул. № 5.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ

24 წიგნი ნაკადულისა () 12 წიგნი ნაკადულისა
მცირე წლოვანთათვის () მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახევ. წლ. 3 მ. ცალცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წ 3 მ. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.

ადრესი: Тифлисъ, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8